



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსი (ქართული)  
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

6-8 აპრილი 2021

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 29.04.21წ.

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსი (ქართული)
უმაღლესი განათლების საფეხური	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	091
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	360 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი,	აკრედიტებული  2011 წლის 16 სექტემბერი (გადაწყვეტილება #35)

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თარიღი)	
---------	--

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი მაირი სკოტი დანდის უნივერსიტეტი შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დოქ. ირაკლი გაგუა მთავარი ოპერაციული ოფიცერი გაგუას კლინიკა, საქართველო  დოქ. ია ფანცულაია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დოქ. ქეთევან კანკავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე დოქტორანტი ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დოქ. ია ფანცულაია ასოცირებული პროფესორი დირექტორი ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამედიცინო ფაკულტეტი დაარსდა 1918 წელს, ხოლო პროგრამებმა ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს, რომელთა აკრედიტაციის ვადა გადის 2021 წლის 1 ივლისს. საერთაშორისო სტუდენტები ჩაირიცხნენ 2011 წელს და ამჟამად მოქმედებს დიპლომირებული მედიკოსის 2 პროგრამა (ქართულად და ინგლისურად). ეს დასკვნა ეხება დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამას და წარმოადგენს აკრედიტაციის გასაგრძელებლად გაცემულ რეკომენდაციას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებისა და საერთო ჯამში, პროგრამის განხორციელების პროგრესის საფუძველზე.

2011 წელს დამტკიცებულ სამედიცინო პროგრამას ჰქონდა ტრადიციული, კონკრეტული დისციპლინების მიხედვით აწყობილი კურიკულუმი, ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და კლინიკური პრაქტიკის განცალკევებული სწავლებით. თუმცა, უმაღლესი განათლების სამედიცინო პროგრამებისათვის ახალი ეროვნული დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების შედეგად, თსუ-მ გადაწყვიტა ჩაენაცვლებია სამედიცინო კურიკულუმი ინტეგრირებულ 3-საფეხურიანი კურიკულუმით, რომელიც დააკმაყოფილებდა როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ისე უმაღლესი განათლების სამედიცინო პროგრამებისათვის ახალი ეროვნული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. როგორც ასეთი, თსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე პრაქტიკულად ჰყავს სტუდენტთა 2 განსხვავებული ჯგუფი - უფროსკურსელი სტუდენტები, რომლებიც ამთავრებენ "ტრადიციულ" პროგრამას და დაწყებითი კურსების სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ "ინტეგრირებულ" პროგრამაზე.

სრულად ინტეგრირებულ პროგრამაზე გადასვლის მიზანი იყო კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის ქონა, სრული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციით, რომელიც მიიღწეოდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლასა (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლაზე (CBL) დაშენებული სპირალური კურიკულუმის სტრუქტურის შექმნით, რაც დაფუძნებული იქნება შებრუნებული საკლასო ოთახის მიდგომაზე. ინტეგრაცია კიდევ უფრო გაღრმავდა სიმულაციური სწავლების დანერგვით, როგორც მანეკენის, ისე სიმულირებული პაციენტის გამოყენებით ყველა ეტაპზე და შეფასების პროცესი შეიცვალა მასში ისეთი დამატებითი ინსტრუმენტების ჩართვით, როგორებიცაა OSCE, MiniCex და DOPS. გარდა ამისა, ვინაიდან თსუ-ს სურდა კვლევითი კომპეტენციების დაუფლება გაეხადა მათი პროგრამის ძირითადი ნაწილი, დაიწყო კვლევითი უნარების სწავლება კურიკულუმის ადრეული ეტაპიდან, მისი ყველა ეტაპის მოცვით, რათა სტუდენტებმა უფრო ღრმად შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგია. იმედაც, ეს მიდგომა, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე წვდომასთან ერთად, თსუკურსდამთავრებულებს დააფიქრებს აკადემიური კლინიკური კარიერის გადაწყვეტილებაზე და ამით, ხელს შეუწყობს საქართველოში სამედიცინო კვლევითი შესაძლებლობების გაზრდას.

ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩაირიცხული სტუდენტები ჯერ კიდევ საჭიროებენ პროგრესს სწავლების შემდგომ წლებში, თუმცა ამ, უფრო კლინიკურად ორიენტირებული, წლების დაგეგმვა უკვე მიმდინარეობს და ემყარება უფროსკურსელ სტუდენტთათვის კლინიკური დანართების ორგანიზების თსუ-ს არსებულ გამოცდილებას. დღეისათვის თსუ-ს ხელი მიუწვდება დაახლოებით 50 კლინიკასა და ეროვნულ ინსტიტუტზე, რომელთაგან ზოგიერთი, ასევე, წარმოადგენს საუნივერსიტეტო კლინიკას, რომელშიც აკადემიური პერსონალი ასწავლის და აწარმოებს კვლევებს. როგორც ასეთი, სტუდენტებს აქვთ დიდი შესაძლებლობები მიიღონ ცოდნა როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ექსპერტებისაგან.

2020 წლის დასაწყისში, კოვიდ-19 პანდემიამ გამოიწვია ონლაინ ან შერეული სწავლების შემოღების აუცილებლობა. ამან გამოიწვია ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებული პროგრამების მნიშვნელოვანი ჩამოშლა, რადგან სტუდენტებმა დაკარგეს ფიზიკური წვდომა არა მხოლოდ საუნივერსიტეტო კამპუსზე, არამედ - კლინიკურ სწავლებაზეც, ინფექციის რისკისა და მომატებული გავრცელების გამო. თსუ-მ კრიზისს უპასუხა საგანგებო დისტანციური სწავლებაზე სწრაფი გადასვლით ონლაინ და შერეული პროცესების გამოყენებით. მათ შეიძინეს საგანმანათლებლო პროგრამა Lecturio, რომელსაც აქვს ყოვლისმომცველი ვიდეო ბიბლიოთეკა და ონლაინ მასალები, რაც დაეხმარა სტუდენტებს კლინიკურ მასალებზე ხელმისაწვდომობასთან ერთად, საკუთარი ცოდნისა და პროგრესირების თვითშეფასებაში. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, უკვე დაწყებული იყო სტუდენტთა თანდათანობითი დაბრუნება კლინიკურ სფეროებში.

## ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს 2021 წლის 15 მარტს. ექსპერტთა ჯგუფმა შეარჩია 1-2 კონკრეტული სტანდარტი, რომელიც უკეთ შეესატყვისებოდა მათ გამოცდილებას. თუმცა, ყველა წევრმა მიმოიხილა მთელი დოკუმენტაცია და შეარჩია შესასწავლი სფეროები 2021 წლის 6-8 აპრილის 3-დღიანი შეხვედრების გრაფიკის მიხედვით. სამდღიანი განხილვა განხორციელდა დისტანციურად, Zoom-ის გამოყენებით. ვიზიტის დროს ჯგუფში გამოვლინდა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებებისათვის. დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა მე-3 დღემდე. ადგილზე ფაქტობრივი ვიზიტი განხორციელდა 8 აპრილს, რომელსაც, პირადად, დაესწრო ჯგუფის 3 წევრი, ხოლო დანარჩენები მონაწილეობდნენ პირდაპირი გადაცემის ვიდეოს მეშვეობით.
- **1-ლი და მე-2 დღე** კატარდა დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად, ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის გუნდებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების გუნდთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, პრაქტიკის ტუტორებთან/ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა დაუსვა შეკითხვები თსუ-ს წარმომადგენლებს და საკუთარი წვლილი შეიტანა ვიზიტის ბოლოს, თსუ-სადმი გამართულ არაფორმალურ უკუკავშირში.
- **მე-3 დღე** - თსუ-მ ჯგუფს წარუდგინა სტუდენტური ადგილების, განთავსებისა და რეკრეაციული არეების ვიდეო პრეზენტაცია, ხოლო რეალურ ადგილზე, ვიზიტს თსუ-სა და მედიცინის ფაკულტეტზე, თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა No78, ჯგუფის 5 წევრიდან, პირადად, დაესწრო 3. მიუხედავად ამისა, ვიზიტი ხელმისაწვდომი გახდა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრისთვის მობილური ტელეფონის ვიდეოკამერის გამოყენებით და ამან საშუალება მისცა ჯგუფის დისტანციურ წევრებს დამატებითი წვლილი შენატანათ ვიზიტში. ვიზიტისათვის შერჩეულ სპეციალურ არეებს განეკუთვნებოდა სიმულაციური ცენტრი (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის - OSCE ოთახების ჩათვლით), ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და ის ადგილები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეკრება სოციალური მიზნით ან სამეცადინოდ. კლინიკებში ვიზიტი განხორციელდა საბაზტარაშვილის რეპროდუქციულ კლინიკასა და ვივემედის ჰოსპიტალში. თუმცა, პაციენტთა კონფიდენციალობის დაცვის მიზეზით, ამ ვიზიტების ვიდეო გაზიარება არ მოხდა. დასკვნების თაობაზე, ექსპერტთა ჯგუფმა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარუდგინა მოკლე შემაჯამებელი პრეზენტაცია და ხაზგასმით აღინიშნა, რომ უფრო დეტალური დოკუმენტი გადაეცემოდა ფაკულტეტს ანგარიშის პროექტის სახით. ორმხრივად მოხდა მადლიერების გამოხატვა გაზიარებული გამოცდილებისა და პროცესის მიერ შექმნილი სწავლისა და განვითარების შესაძლებლობისათვის.

- დასკვნა წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 29 აპრილს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- საერთო ჯამში პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გარდა მე-2 და მე-4 სტანდარტებისა, რომლებშიც რიგი კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ინტეგრირებული პროგრამა სათანადოდ ეფუძნება საგანმანათლებლო პედაგოგიკას, გამყარებულია კურიკულუმითა და შეფასების დიზაინით და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და უმაღლესი განათლების სამედიცინო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან.
- დასკვნის პროექტთან მიმართებით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში მოითხოვა 2.6 და 4.1 კომპონენტებში მოცემული რეკომენდაციების რჩევებში გადატანა, რადგან მათ უკვე ჰქონდათ შესაბამისი გეგმები დასახული. მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს გეგმები ჯერ კიდევ არ არის სრულად ოპერაციონალიზებული, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ ორივე კომპონენტში დარჩენილიყო რეკომენდაციები.

- **რეკომენდაციები**

1. (2.5) მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა გააცნობიერონ პროგრამა კომპეტენციების, კურიკულუმის მიწოდებასა და შეფასების კონსტრუქციული შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც შეიძლება რთული იყოს სრულად ინტეგრირებული კურიკულუმით. გასათვალისწინებელია გზების შემუშავება, რომლებიც გაუადვილებს სტუდენტებს პროგრამის კურიკულუმის დიზაინისა და მიწოდების მეთოდების ჩანაფიქრის გააზრებას და გახდის მათ უფრო ეფექტიან მიზანმიმართულ შემსწავლელელებად.
2. (2.6) მიუხედავად იმისა, რომ შეფასების პროცესები სწორად შეესატყვისება კომპეტენციებს და კურიკულუმის დიზაინსა და მიწოდებას, სტუდენტებს უნდა დაეხმარონ უფრო ღრმად გააცნობიერონ არა მხოლოდ ის, თუ რას წარმოადგენს წარმატება შედეგების მიღწევაში, არამედ შეფასებების გრძელვადიანითერთეკავშირი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესირების მტკიცებულებას. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს შინაგანად დასახონ საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნობრივი ნიშნული.
3. (4.1) კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა კარგად არის დამკვიდრებული, თუმცა, კურსების განვითარების შესაბამისად, აუცილებელი გახდება მათი გადახედვა და შეიძლება საჭირო გახდეს შესაძლებლობების გაზრდა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. (1.2) გადაიხედოს სწავლის შედეგებისა და ქვე-შედეგების ფორმულირება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის რამდენიმე ციკლის შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პროცესის თანმიმდევრულობა და კვლავწარმოებადობა.
2. (2.2) გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და პერსონალის

ოფიციალური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

3. (2.2) მითითებულ იქნეს მეტი, ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ვებგვერდზე.
4. (2.2) შემუშავებულ იქნეს გზები, რომლითაც სტუდენტებს მიეცემათ პროგრამის სტრუქტურისა და შედეგების გააზრების შესაძლებლობა.
5. (2.4) როტაციების მასშტაბისა და ფარგლების შემდგომი დეტალური დაგეგმვა, რომელთა შეთავაზებაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების არჩევანის მხარდაჭერის სისტემასთან ერთად, თუ იარსებებს არათანაზომიერი მოთხოვნა. შემდეგ ეს დეტალი შეიძლება ოფიციალურად ჩაიდოს კლინიკებთან ხელშეკრულებებში.
6. (2.4) სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი მხარდაჭერა და თვალყურის მიდევნება, სამეცნიერო შედეგების გაზომვა და მისი ცვლილების ტენდენციებზე თვალყურის მიდევნება.
7. (2.6) გაგრძელდეს მუშაობა პორტფოლიოს შემუშავებაზე, რომელიც გამოყენებული იქნება 6 წლის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ იგი გახდეს პროცედურების დღიურზე (ჟურნალ)მეტი.
8. (2.6) როტაციების შეფასების თანამიმდევრულობისადმი მიდგომა საჭიროებს შემდგომ განხილვას.
9. (2.6) განხილულ იქნეს "იმიტირებული პაციენტების ბანკის" გაფართოების გზები, როგორცაა მოხალისეების გამოყენება, სტუდენტი მსახიობების მომზადების გამოცდილების საფუძველზე.
10. (2.6) უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული სტუდენტის მიერ საკუთარი მიღწევების შესახებ უკუკავშირისმილების პროცედურის ფორმალიზება.
11. (3.1) გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტთა ჩართულობა სამომავლო თვითშეფასების ანგარიშის პროცესებში; შესაძლებელია SPARQS პროექტის ფარგლებში გადამზადებულისტუდენტების გამოყენებით.
12. (3.1) გაზრდილ იქნეს სტუდენტებსა და მომავალ დამსაქმებლებს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობები.
13. (4.3) იმის გამო, რომ ახალი ამერიკული საავადმყოფო იხსნება და მზადაა სტუდენტების მისაღებად, შეიძლება სასარგებლო იყოს ყველა კლინიკური ადგილის გადახედვა ახალ ინტეგრირებულ კურიკულუმში, კლინიკური სწავლების შესაძლებლობების საერთო მიმოხილვასთან ერთად.
14. (4.4) არსებული შესაძლებლობები კარგია, თუმცა სამომავლო განვითარებისათვის, სამედიცინო ფაკულტეტს შეუძლია ისარგებლოს ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯვითი ნაწილისუფრო მეტი მოქნილობით, სამომავლოდ ამბიციური გეგმების განხორციელებისათვის.
15. (5.3) დაწესებულება უნდა დაეყრდნოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ სწავლის შედეგებისა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებისა და პროცესების - „თქვენ თქვით, ჩვენ გავაკეთეთ“, მონიტორინგისუკვე შესრულებულ მაღალ ხარისხიან სამუშაოსრესურსების გაზრდით, რათა გაფართოვდეს მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. გარდა ამისა, ურთიერთშემოწმებასა და თემატურ ჯგუფზე შესრულებული სამუშაო მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს მთელ კურიკულუმს.
16. (5.3) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შეიძლება დასჭირდეს დარგის (მედიცინის) სპეციფიკასთან დაკავშირებული შეფასების სტრატეგია (მაგალითად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების გასაუმჯობესებლად) და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება საკითხებზე, რომლებიც განსხვავებული იქნება უნივერსიტეტისაგან და სპეციფიკური იქნება ფაკულტეტისათვის.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

1. (1.1) არსებობს ამბიციური სტრატეგიული გეგმა იმის თაობაზე, რომ თსუ ჩამოყალიბდეს "ინტენსიურ კვლევით უნივერსიტეტად", ეპიდემიოლოგიურ კვლევებში ჩართულობის სიძლიერეზეაშკარა აქცენტირებით. ეს მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს მედიცინის ფაკულტეტის რეპუტაციას.
2. (1.2) თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტმა წარმატებით განახორციელა ტრადიციული და ინტეგრირებული კურიკულუმების "შერწყმა", სტუდენტებისა და პერსონალისათვის მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე, ბიო-სამედიცინო მეცნიერების სწავლებაზე დაფუძნებულ სისტემაში ადრეული ცვლილების გატარებით, რაც საფუძვლად დაედო სრულად ინტეგრირებულ მიდგომას.
3. (2.1) ინგლისური ენის კომპეტენციის მნიშვნელობისადმი გაზრდილი ვალდებულება, მისაღებ გამოცდებზე უნარების დონის ამაღლების, ენის გაძლიერების სწავლების შეთავაზების, სტუდენტებისთვის სამედიცინო ლიტერატურის ონლაინ წვდომის წახალისების (რომლის ენა ძირითადად ინგლისურია) და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოების / სტატიების შეთავაზების შეწყვეტის მეშვეობით.
4. (2.4) საერთაშორისო კონფერენციების მეშვეობით, სტუდენტთა წვდომას ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ექსპერტებსა და პროექტებზე ყველა მიიჩნევს თსუ-ში სწავლის დამატებითი სარგებელად.
5. (2.5) კოვიდის გამო გადაუდებელ დისტანციურ სწავლებაზე (ERT) გადასვლამ გამოიწვია Lecturio-ს შექმნა, რასაც სტუდენტები აღიქვამენ, როგორც ძალიან მისასალმებელ და გამოსადეგ დამატებით რესურსს. ეს გააუმჯობესებს მომავალში სტუდენტების მიზანმიმართულ, დამოუკიდებელ სწავლას.
6. (2.6) ადგილობრივი დრამატული კოლეჯის სტუდენტი მსახიობების სიმულაციურ პაციენტებად დატრენინგება ეფექტიანი გზაა "სტანდარტიზებულ პაციენტებზე" ხელმისაწვდომობის გაზრდასა და განსაკუთრებით გამოსადეგია, OSCE შეფასებების განმტკიცებაში.
7. (3.1) COVID-19 პანდემიის დროს ძალზე ეფექტურად იმართებოდა გადაუდებელი დისტანციური სწავლება (ERT) ონლაინ და შერეული სასწავლო მიდგომების გამოყენებით.
8. (4.2) თსუ მხარს უჭერს და რესურსებით უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და შესაძლებლობებს; ის აფასებს ამ პროგრამებისა და შესაძლებლობების არა მხოლოდ სარგებელს პერსონალისა და სტუდენტებისთვის, არამედ იმდადებით გავლენასაც, რაც მათ მოაქვს უნივერსიტეტისათვის, ინტენსიურ კვლევით უნივერსიტეტად ჩამოყალიბების გზაზე.
9. (4.3) ახალი ჰოსპიტალი, რომელიც სექტემბერში გაიხსნება ექსკლუზიური ხელმისაწვდომობით თსუ-ს სტუდენტებისთვის, მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც გაზრდის თსუ-ს კურიკულუმის სპეციფიკური სწავლების შესაძლებლობებს კლინიკურ გარემოში, თსუ-ს ერთგული ხელმძღვანელების მიერ.
10. (5.3) ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშავა შესანიშნავი მიდგომა სტრატეგიული და ოპერატიული შემოწმების პროცესებისადმი, რომელიც არა მხოლოდ ყოვლისმომცველია, არამედ იძლევა შესანიშნავ მონაცემებს. შემოწმების შედეგები გარდაისახება ქმედებებში, როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების მონაწილეობით. გუნდს აქვს ამბიციური გეგმები ხარისხის გაუმჯობესების სამომავლო ინიციატივებზე, რომლებიც არა მხოლოდ ინოვაციურია, არამედ ხელს შეუწყობს საერთაშორისო მაღალი სტანდარტების ადრეულ დამკვირდებას.



11. (5.3) თსუ სტუდენტების ჩართვა SQARQS (სტუდენტური პარტნიორობა ხარისხში. შოტლანდია) პროექტში შთამბეჭდავია და გრძელვადიან სარგებელს მოიტანს სტუდენტების გაძლიერებული ჩართულობით ხარისხის უზრუნველყოფის ყველა პროცესში.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამჟამინდელი ინტეგრირებული სპირალური კურიკულუმი შემუშავებულია ადრე არსებული აკრედიტებული კურიკულუმიდან, კონკრეტულ დისციპლინაზე მიმართული კურსებიდან სისტემებზე დაფუძნებული ინტეგრირებულ მეცნიერებაზე დაფუძნებული კურსებისაკენ თანდათანობითი გადასვლით. როგორც ასეთი, თსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე პრაქტიკულად ჰყავს სტუდენტთა 2 განსხვავებული ჯგუფი - უფროსკურსელი სტუდენტები, რომლებიც ამთავრებენ "ტრადიციულ" პროგრამას და დაწყებითი კურსების სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ "ინტეგრირებულ" პროგრამაზე. გამოკითხული სტუდენტები წარმოადგენდნენ შერეულ ჯგუფებს, სწავლის ყველა წლიდან და ამიტომ ზოგიერთ უფროსკურსელ სტუდენტს არ ჰქონდა გამოცდილი ინტეგრირებული კურიკულუმის პირველი რამდენიმე წელი. მოსალოდნელი იყო, რომ დაწყებითი კურსების სტუდენტების კლინიკური გამოცდილება იქნებოდა მსგავსი თუ არა იგივე, ტრადიციული კურიკულუმის სტუდენტებთან მიმართებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ამის დატესტვა ჯერჯერობით ვერ შეძლო.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შემუშავდა ტრადიციული, კონკრეტულ დისციპლინაზე მიმართული კურიკულუმის მიდგომიდან, რომელშიც ბიო-სამედიცინო მეცნიერებების სწავლება და კლინიკური პრაქტიკა მკვეთრად განცალკევებული იყო, სრულად ინტეგრირებულ კურიკულუმზე გადასვლით, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების სამედიცინო პროგრამების თანამედროვე დარგობრივ მახასიათებელს. როგორც ასეთი, თსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე პრაქტიკულად ჰყავს სტუდენტთა 2 განსხვავებული ჯგუფი - უფროსკურსელი სტუდენტები, რომლებიც ამთავრებენ "ტრადიციულ" პროგრამას და დაწყებითი კურსების სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ "ინტეგრირებულ" პროგრამაზე.

პროგრამა, რომელიც შემოწმებულ იქნა, უმეტეს დეტალებში, წარმოადგენს ინტეგრირებულ კურიკულუმს და მისი მიზნები შესაბამისობაშია რეგულაციებთან, თავსებადია თსუ-ს სტრატეგიასთან და მისიასთან და ემყარება საგანმანათლებლო პედაგოგიკის ფართოდ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამის საერთო მიზანი მკაფიოაა ჩამოყალიბებული და ეფექტიანად უნდა განხორციელდეს პროგრამის PBL/ CBL დიზაინითა და შეფასების სტრატეგიით. გარდა ამისა, კოვიდ-19 პანდემიის მიერ შექმნილ გადაუდებელ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობა გამარტივდა იმ მუშაობის შედეგად, რომელიც უკვე გაკეთდა PBL- ის გუნდური მუშაობის მიდგომის დასამკვიდრებლად, შებრუნებული საკლასო ოთახის და ონლაინ რესურსების გამოყენებით, როგორც ბიბლიოთეკის, ისე ახლად შექმნილი Lecturio პლატფორმის მეშვეობით. ამ ონლაინ პროგრამულმა საშუალებებმა გააძლიერა არა მხოლოდ საკლასო სწავლება (ონლაინ ან პირისპირ), არამედ სტუდენტებს მისცა დამოუკიდებელი სწავლის დამატებითი შესაძლებლობები, რათა შემდეგ დაუფლონთელი ცხოვრების განმავლობაში მიზანმიმართული პროფესიული სწავლისთვის საჭირო უნარებს. თსუ-მ, ასევე, გააძლიერა მედიკოსი სტუდენტებისათვის ინგლისური ენის ცოდნის აუცილებლობა, ვინაიდან სამეცნიერო სამედიცინო ლიტერატურის საერთაშორისო ენა ინგლისურია და ამგვარად, სტუდენტებს მოეთხოვებათ სწავლის დაწყებამდე და სწავლის პერიოდშიც ინგლისური ენის ცოდნის უფრო მაღალი დონის მიღწევა. სტუდენტებს ხელს უწყობენ სამედიცინო ლიტერატურა თავად მოიპოვონ (რომლის ენა მეტწილად ინგლისურია), იმგვარად, რომ მათში გაძლიერდეს ინგლისური ენის უფრო მაღალი დონის უნარების მნიშვნელობა. ზოგიერთი სახელმძღვანელოს და სხვა მასალის ქართულ ენაზე თარგმანის შეთავაზების ადრინდელი პრაქტიკა გაუქმებულია (რამოდენიმე ძირითადი კლინიკური სახელმძღვანელოს გარდა), რათა ხელი შეუწყონ სტუდენტების მიერ უფრო ფართო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას, რომ ისინი არ დარჩნენ მხოლოდ მათი პედაგოგების მითითებების ამარა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის დეტალური შედგენა და შეფასება კონსტრუქციული შესაბამისობის დემონსტრირებისათვის დაიხვეწება კლინიკურ გარემოში მიწოდების მზარდი გამოცდილებით (პრაქტიკულად შემცირებულია კოვიდ 19-ის გამო), სავარაუდოთ, 3 ფაზიანი მიდგომა, რომელიც თანდათანობით ზრდის სტუდენტთა ცოდნასა და უნარებს, იქნება ეფექტიანი. ეს არაა გასაკვირი, რადგან თსუ-ს მიერ გათავისებული მიდგომა საყოველთაოდაა აღიარებული თანამედროვე სამედიცინო განათლების ოქროს სტანდარტად. სტუდენტების მიერ, ამ გზით, მოიპოვება მთელი ცხოვრების განმავლობის მიზანმიმართული პროფესიონალი შემსწავლელი უნარები, რომელზეც არსებობს მზარდი მოთხოვნა ბევრი ქვეყნის ჯანდაცვის მარეგულირებლების მხრიდან.

გარდა ამისა, თსუსეთი კურსდამთავრებულების გამოშვების ერთგულია, რომლებსაც ექნებათ აუცილებელი კვლევითი უნარ-ჩვევები, რაც საშუალებას მისცემს მათ მომავალში სრულად ჩაერთონ სამედიცინო კვლევებში. მათ ამას მიაღწიეს იმით, რომ კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლა გახადეს ხანგრძლივი პროგრამა, რომელიც იწყება პირველივე წელს და გრძელდება მთელი სწავლის განმავლობაში. ეს, სტუდენტთა სამეცნიერო პროექტების, პუბლიკაციების, კონფერენციებზე პრეზენტაციების (როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო) და სტუდენტთა გაცვლით-შესაძლებლობებთან და ხელშეწყობასთან ერთად, დაეხმარება თსუ-ს ამ მიზნის მიღწევაში.

თსუ-ს განცხადებული აქვს, რომ მისი მიზანია "დარგის სპეციფიკური და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციების" შემუშავება შემდეგის მეშვეობით:

- ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინტეგრირებული პროგრამის სტრუქტურით;
- ბ) სწავლებისა და სწავლის შეფასების თანამედროვე მეთოდებით;
- გ) მატერიალური რესურსით;
- დ) ადამიანური რესურსებით
- ე) საერთაშორისო თანამშრომლობით, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტითა და პროგრამის შემუშავებაში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

მიმდინარე პროგრამის დიზაინი განლაგებულია იმგვარად, რომ იძლევა ამ მიზნების მიღწევის საშუალებას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- პროგრამის აღწერილობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა;
- პროგრამისა და შეფასების რუქები /მონახაზები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცედურები;
- უნივერსიტეტისა და სამედიცინო ფაკულტეტის ხედვა და მისია;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვების შედეგები და ანგარიშები (მაგ. დანართი 17, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება);
- ვებ-გვერდები: <https://www.tsu.ge/en/page/About-University>

<https://www.tsu.ge/en/faculty/FACULTY%20OF%20MEDICINE/8>.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- არსებობს ამბიციური სტრატეგიული გეგმა იმის თაობაზე, რომ თსუ ჩამოყალიბდეს "ინტენსიურ კვლევით უნივერსიტეტად", ეპიდემიოლოგიურ კვლევებში ჩართულობის სიმღიერეზუალტარა აქცენტირებით. ეს მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს მედიცინის ფაკულტეტის რეპუტაციას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

ამჟამინდელი ინტეგრირებული სპირალური კურიკულუმი შემუშავებულია ადრე არსებული აკრედიტებული კურიკულუმიდან, კონკრეტულ დისციპლინაზე მიმართული კურსებიდან სისტემებზე დაფუძნებული ინტეგრირებულ მეცნიერებაზე დაფუძნებული კურსებისაკენ თანდათანობითი გადასვლით. განხორციელდა გამოკითხვა ყველა კურსის სტუდენტის და ამიტომ ზოგიერთ უფროსკურსელ სტუდენტს არ ჰქონდა გამოცდილი ინტეგრირებული კურიკულუმის პირველი რამდენიმე წელი.ასევე, მოსალოდნელი იყო, რომ დაწყებითი კურსების სტუდენტების კლინიკური გამოცდილება იქნებოდა მსგავსი თუ არა იგივე, „მველი“ კურიკულუმის სტუდენტებთან მიმართებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ამის დატესტვაჯერჯერობით ვერ შეძლო.მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში აშკარა იყო, რომ ინტეგრირებული მიდგომის პროგრამაზე ეტაპობრივად გადასვლა განხორციელდა ძალიან ეფექტურად და უფროსმა პერსონალმა შეძლო იმის გარანტირება, რომ როგორც კი ინტეგრირებული პროგრამის სტუდენტების მზარდი რიცხვი გადავა კლინიკური სწავლების წლებში, რომლის გეგმებიც უკვე შედგენილია, ასევე, გახდის ამათ ეფექტურს როგორც მიწოდებაში, ისე შედეგების მიღწევაში.

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის საერთო შედეგები მკაფიოდ არის წარმოდგენილი 14 თემატური სათაურით, კურსების რელევანტური შემდგომი ქვესათაურებით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გაზომვადი და მნიშვნელოვანია, საერთო რუკა საკმაოდ რთულია, გარკვეულწილად მოკლებული სიცხადეს, თუ რა წვლილი შეაქვს თითოეული კურსის შედეგს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევაში. თსუ აღიარებს, რომ ამ სფეროს შემდგომი განხილვა და გაუმჯობესება სჭირდება.

პროგრამის შედეგები, როგორც აღწერილია ვრცელი სილაბუსის დოკუმენტებში, არის მკაფიო და შეესაბამება მისანიჭებელი ხარისხის დონეს. ყველა მათგანი ადასტურებს სტანდარტებთან კავშირის დემონსტრირებისთვის შექმნილ შაბლონს და ეს კარგად ჩანს პროგრამის ყველა დოკუმენტში ისე, რომ ეხმარება მიღწევების მონიტორინგსა და შეფასებას. პროგრამის ბუნება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა თავიდანვე შეიძინონ ცოდნის საფუძველი კლინიკური რელევანტურობისა და კონტექსტის გზით. პროგრამა შემუშავებულია ამ მზარდი მეთოდით "სპირალური კურიკულუმის" ხასიათიდან გამომდინარედა, მაგალითად, კლინიკური უნარ-ჩვევებისა და კვლევითი უნარების, როგორც გრძელვადიანი თემების, ინტეგრირებ წარმოადგენს შესანიშნავ მიდგომას სწავლის კომპლექსურობის გასაზრდელად.

შეფასების მეთოდები (განმსაზღვრელიც და შემაჯამებელიც) შეესაბამება საქართველოს ეროვნულ მოთხოვნებს და შემუშავებულ იქნა როგორც სრულად ინტეგრირებული კურიკულუმის განხორციელებისადმი წინსვლის შემადგებელი ნაწილი. დეტალური დოკუმენტები ავლენენ კურიკულუმსა და შეფასებებს შორის კონსტრუქციულ შესაბამისობას. მიმდინარეობს მუშაობასრულად ინტეგრირებული კურიკულუმის უფრო უფროსს წლებზე ამ პროცესების გასაგრძელებლად.

აკადემიურმა პერსონალმა გაიარა ტრენინგი ვალიდური და საიმედო შეფასებების შექმნასა და თანმიმდევრული სტანდარტის შესაბამისად შეფასების განხორციელებაში. სტუდენტებს ხელს უწყობენ შეფასების პროცესის ყველა ასპექტში. მათ ასევე მიეწოდებათ დროული უკუკავშირი ყველა შემაჯამებელი შეფასების შემდეგ და შეუძლიათ მიმართონ ტუტორებს რჩევისა და დახმარებისათვის, შეფასებასთან დაკავშირებული საკითხის არსებობის

შემთხვევაში.

წარსულში ფაკულტეტის თანამშრომლები თარგმნიდნენ ჟურნალის პუბლიკაციებს და სთავაზობდნენ კონსულტაციებს ქართულად ნათარგმნ სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაციის მიმართ, თუმცა ფაკულტეტის მასშტაბით აღიარებულია, რომ ეს აღარ არის აქტუალური და მიზანშეწონილი. სამეცნიერო მედიცინის საერთაშორისო ენაა ინგლისური და ამიტომ, სტუდენტებს თავად უნდა შეეძლოთ კვლევა და სტატიებისა და წიგნების წაკითხვა ინგლისურ ენაზე. ქართულენაგანი დამატებითი მასალების ამოღებასთან ერთად, შეთავაზებული ტრენინგი უნდა დაეხმაროს სტუდენტებს ამ საჭირო უნარების შექმნაში.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამის აღწერილობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა;
- პროგრამისა და შეფასების რუქები /მონახაზები;
- პროგრამის სილაბუსი (მრავალი);
- პროგრამის შეფასების დოკუმენტები;
- სტუდენტთა დღიურები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცედურები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვების შედეგები და ანგარიშები (მაგ. დანართი 17, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება).

### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადაიხედოს სწავლის შედეგებისა და ქვე-შედეგების ფორმულირება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის რამდენიმე ციკლის შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პროცესის თანმიმდევრულობა და კვლავწარმოებადობა.

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტმა წარმატებით განახორციელა ტრადიციული და ინტეგრირებული კურიკულუმების "შერწყმა", სტუდენტებისა და პერსონალისათვის მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე, ბიო-სამედიცინო

მეცნიერების სწავლებაზე დაფუძნებულ სისტემაში ადრეული ცვლილების გატარებით, რაც საფუძვლად დაედო სრულად ინტეგრირებულ მიდგომას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიო და სამართლიანია. ისინი ითვალისწინებენ პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფენ პროგრამის ათვისებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიღებას; დაშვების წინაპირობები ძირითადად განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და იცავს ამ წესებს. თსუ-მ დაადგინა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მინიმალური ზღვარი, რაც უზრუნველყოფს ისეთი სტუდენტების მიღებას, რომლებსაც შეუძლიათ წარმატების მიღწევა პროგრამის ათვისებისას. ეს ზღვარი თანდათანობით იზრდებოდა წლების განმავლობაში (ბიოლოგიაში 65%-მდე). რაც შეეხება უცხო ენას, ინგლისურ ენაში გამოცდის მინიმალური ზღვარი 75%-ია, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქართულ პროგრამაზე მიღებულ სტუდენტებს შეეძლოთ ისარგებლონ ძირითადი ლიტერატურით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ინგლისურ ენაზე იქნება. ეს ინფორმაცია ნათლად არის წარმოდგენილი პროგრამის აღწერაში და განმცხადებლებისთვის ხელმისაწვდომია [შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის](#) ვებ – გვერდიდან და გაზეთიდან. მიღების ყველა დეტალს ამოწმებს გარე ორგანო (განათლების სამინისტრო) ჩარიცხვაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. დეტალები შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ორივე პროგრამისათვის ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სტუდენტთა გამომხმარებლის თანახმად დაშვების წინაპირობები და პროცედურები მკაფიო, საჯარო და ხელმისაწვდომია.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა" - პროგრამის აღწერილობა;
- თსუ-ს ვებგვერდი (შემოწმდა 14.04.2021წ.);
- თსუ-ს აკადემიური პროგრამების კატალოგი;



<ul style="list-style-type: none"> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ინგლისური ენის კომპეტენციის მნიშვნელობისადმი გაზრდილი ვალდებულება, მისაღებ გამოცდებზე უნარების დონის ამაღლების, ენის გაძლიერებული სწავლების შეთავაზების, სტუდენტებისთვის სამედიცინო ლიტერატურის ონლაინ წვდომის (რომლის ენა ძირითადად ინგლისურია) მეშვეობით.</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული</p>

სისტემის შესაბამისად. პროგრამის კომპონენტები ითვალისწინებენ დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისი მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების საჭირო დონეს. პროგრამის შინაარსი ეფუძნება მეცნიერებისა და მედიცინის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამა შედგება სამი ბლოკისაგან - საბაზისო, გარდამავალი და კლინიკური. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული ინდივიდუალური კურსი) არის თანამიმდევრულად და ლოგიკურად სტრუქტურირებული. კლინიკური და კვლევითი უნარები, ასევე, ისწავლება ყოველწლიურად როგორც განცალკევებული კურსები. კურსებზე დაშვების ბარიერი და წინაპირობები ადეკვატურია. სტუდენტებს, ასევე, სთავაზობენ როტაციებს მათ მიერ არჩეულ განყოფილებებში, რასაც შემდგომი წვლილი შეაქვს პრაქტიკული უნარების განვითარებაში. პროგრამაში უზრუნველყოფილია არჩევითი კომპონენტი.

თსუ-ში პროგრამის შემუშავება ხდება უსდ-ს საგანმათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. დოკუმენტაციის თანახმად შეფასება წარმოებს რეგულარულად - ყოველი წლის ბოლოს. ეს ინფორმაცია დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს იმავე სასწავლო წელს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არარეალური იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ბევრს მუშაობენ წლების განმავლობაში მონაცემების შეგროვებასა და ცვლილებების ინიცირებაზე, დეტალური ზედამხედველობისმასშტაბის გათვალისწინებით, ამას მივყავართ მნიშვნელოვან დატვირთვამდე.

აღწერის თანახმად, მრავალი დაინტერესებული მხარე მონაწილეობდა ახალი ინტეგრირებული პროგრამის შემუშავების პროცესში და გარე საერთაშორისო ექსპერტმა, რომელმაც 2019 წელს განიხილა ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის შემუშავების გეგმები, შეაქო თსუ ძლიერი საგანმანათლებლო ხელმძღვანელობისა და კურიკულუმის მიზნების მისაღწევად საჭირო უნარებით აღჭურვილი აკადემიური პერსონალის ყოლის გამო. მოწოდებული გამოკითხვების ნიმუშებში არ შედის პირდაპირი შეკითხვები ახალი პროგრამის შესახებ. პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვები იძლევა ინფორმაციას მათი კმაყოფილების შესახებ და რამდენიმე ირიბ მტკიცებულებას, რომ განისაზღვროს მათი დამოკიდებულება პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით. 2021 წლის სტუდენტთა გამოკითხვების გრაფიკი აჩვენებს, რომ დაგეგმილია ბევრი კურსის შეფასება. დამსაქმებლის ნებისმიერი გამოკითხვის შედეგები უზრუნველყოფს კომპეტენციების, პროგრამის შინაარსისა და შედეგების უკეთ გაცნობიერებას და იძლევა საშუალებას, რომ ყურადღება მიექცეს იმ საკითხებს, რომლებიც დამსაქმებლებს მიაჩნიათ მნიშვნელოვნად. ამავდროულად, ცალკე დოკუმენტი - "გამოკითხვის შედეგების გამოყენება" აღწერს, რომ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალისა და დამსაქმებლებისგან შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები პრაქტიკული კომპონენტის, ისევე როგორც პროგრამაში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიის გამდიდრებაზე. პროგრამის შემუშავების პროცესში

მონაწილეობდა გარე მიმომხილველი.

პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია ვებ-გვერდზე საკმაოდ ზოგადია და მოიცავს მხოლოდ პროგრამის მიზნებს, დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

დეკანის განკარგულების თანახმად, ყველა კურსი უნდა დაიწყოს სილაბუსისგაცნობით, რაც უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების მიერ კურსის დეტალებისა და მოლოდინების გააზრებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა" - პროგრამის აღწერილობა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მოდიფიკაციის პროცედურა;
- გამოკითხვის შაბლონები, შედეგები, შედეგების ანალიზი;
- გამოკითხვის 2021 წლის გრაფიკი;
- გამოკითხვის შედეგების გამოყენება (დოკუმენტი);
- სილაბუსები;
- სასწავლო გეგმა;
- გასაუბრებების შედეგები.

#### **რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და პერსონალის ოფიციალური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.
- მითითებულ იქნეს მეტი ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ვებგვერდზე.
- შემუშავებულ იქნეს გზები, რომლითაც სტუდენტებს მიეცემათ პროგრამის სტრუქტურისა და შედეგების გააზრების შესაძლებლობა.

#### **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

#### **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

#### **შეფასება**

ო გოხვოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

როგორც სტანდარტ 1.2-შია მოხსენიებული, თითოეული კურსის სწავლის შედეგები მკაფიოდ სტრუქტურირებული და გაზომვადია. ამავე დროს, კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა მთელი პროგრამის სწავლის შედეგებთან გარკვეულწილად დამაზნეველი ჩანს, რადგან პროგრამის 14 სწავლის შედეგი კიდევ იყოფა ქვე-შედეგებად, რაც სწავლის შედეგების რუკას საკმაოდ ართულებს. პრაქტიკულად, კურსების შეფასების მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით კურსების სწავლის შედეგების გაზომვა აბსოლუტურად რეალისტურია; თუმცა, თითოეული კურსის წვლილის შეფასება პროგრამის წარმატებაში (პროგრამის სწავლის შედეგებში) შეიძლება უფრო პრობლემური აღმოჩნდეს ამ სქემით. ეს პროცესი საჭიროებს მონიტორინგს და გადახედვას შეფასების რამდენიმე რაუნდის შემდეგ. თავად უსდ განიხილავს სწავლის შედეგების გაზომვას, როგორც გასაუმჯობესებელ სფეროს.

კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შეფასდა სპეციალურად შემუშავებული შაბლონის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ თითოეული კურსის ან ბლოკის ხელმძღვანელები. მიღწეული სწავლის შედეგების საერთო შეფასება განიხილება, როგორც ცალკე პროცედურა. ეს პროცესი ეყრდნობა OSCE გამოცდების, პორტფოლიოს, კლინიკური დღიურის შეფასებებს, ხოლო თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად

განისაზღვრება პასუხისმგებელი პირი. აღინიშნა, რომ ამ პროცესის აღმწერ დიაგრამაში ჩამოთვლილი ზოგიერთი პირი ვერ მოიძებნა პერსონალის სიაში და მათი CV არ იქნა წარმოდგენილი.

სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალა ემყარება ამ სფეროში არსებულ მიღწევებს და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ლიტერატურის უმეტესი ნაწილი ინგლისურენოვანია და სტუდენტებისაგან მოელიან, რომ ისინი თავად ვრცლად გაეცნობიან ფართო ლიტერატურას ინგლისურ ენაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა" - პროგრამის აღწერილობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მოდიფიციკაციის პროცედურა;
- შეფასების სახელმძღვანელო;
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა (შაბლონი);
- სილაბუსები;
- სასწავლო გეგმა;
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამა უზრუნველყოფს, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები და/ან იყვნენ ჩართულები სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რაც შესაბამისობაში იქნება განათლების დონესთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.

კლინიკური უნარების დეპარტამენტი სათანადოდ არის აღჭურვილი, რათა უზრუნველყოს ძირითადი უნარების შექმნა. უნივერსიტეტს დამყარებული აქვს თანამშრომლობა უამრავ ჰოსპიტალსა და კლინიკასთან, რათა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართვა პრაქტიკულ პროცედურებში. ხელშეკრულებების რაოდენობა შთამბეჭდავია, თუმცა მემორანდუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ სტუდენტს შეუძლია დაესწროს პრაქტიკულ მეცადინეობებს მოცემულ ჰოსპიტალში ერთდროულად ან წელიწადში, რა ხანგრძლივობა აქვს პრაქტიკას ან როგორ არის გათვლილი პაციენტებისა და სტუდენტების თანაფარდობა. პაციენტებთან სტუდენტების ინტენსიური კონტაქტის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა ჯგუფები დაჰყო 4-5 კაციან მცირე ჯგუფად და ამით გაზარდა კლინიკური ბაზებით უზრუნველყოფის ხარჯები. არსებობს დეტალური კურიკულუმის რუკა, სადაც დეტალურადაა ნაჩვენები, თუ როდის ესწრებიან სტუდენტები როგორც უნარების დეპარტამენტს, ისე კლინიკებს, ლექტორების დასახელებით. წარმოდგენილი იყო სტუდენტთა აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც ადასტურებდნენ შემთხვევაზე დაფუძნებულ კლინიკურ ექსპოზიციას.

იგივე ითქმის როტაციებზეც, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ერთი მხრივ, მიიღონ პრაქტიკული ცოდნა და მეორეს მხრივ, თავად გაიარონ ტესტი მათთვის საინტერესო სფეროში. დოკუმენტებში იყო მწირი ინფორმაცია ყველა შესაძლო როტაციის ადგილის, სტუდენტების შერჩევისა და ჰოსპიტლებში განაწილების შესახებ. ამასთან, გამოკითხულმა სტუდენტებმა და თანამშრომლებმა აღწერეს, რომ სტუდენტები იყვნენ განაწილებულნი სტაციონარულ და ამბულატორიულ დაწესებულებებში, და ასევე, მორიგეობდნენ არასამუშაო საათებში, რისი მეშვეობითაც მათ ჰქონდათ მნიშვნელოვანი წვდომა

პაციენტებზე. Lecturio-ს საშუალებით ონლაინ წვდომა, ასევე, იყო კარგი საშუალება იმისა, რომ სტუდენტებს შეძლებოდათ კლინიკურ შემთხვევებზე წვდომა, რომელიც შესაძლოა გამორჩენოდათ Covid-ის შეზღუდვების გამო. მიუხედავად ამისა, როდესაც სტუდენტები სრულად ინტეგრირებულ პროგრამაში გადავლენ სწავლების შემდეგ წლებზე, რომელიც მოიცავს როტაციების უფრო მეტ არჩევანს, შეიძლება საჭირო გახდეს უფრო დეტალური დაგეგმვა და განრიგის შედგენა, რათა მოხდეს სტუდენტის არჩევანის ოპტიმიზაცია. შემდეგ ეს დეტალი შეიძლება ოფიციალურად ჩაიდოს კლინიკებთან ხელშეკრულებებში.

სწავლის განმავლობაში კვლევითი უნარები ისწავლება ცალკე კურსის სახით. სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ნათლად აჩვენა, რომ ახალგაზრდა სტუდენტებს უკეთ ესმით მეცნიერული პრინციპები და მეტი ინტერესი აქვთ მეცნიერების მიმართ, ვიდრე სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ მაღალ კურსებზე. გასაუბრებაზე მოწვეული კურსდამთავრებულები სტუდენტობის პერიოდში საერთოდ არ მონაწილეობდნენ კვლევით საქმიანობაში. ეს შეიძლება იყოს ახალი პროგრამის დადებითი ეფექტი.

სტუდენტური კვლევის სტიმულირება ხდება თსუ-ს შიდა გრანტებით. დაფინანსებული პროექტების ანგარიშები ექსპერტებს წარედგინათ კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ მონაცემებთან ერთად (2016-2018 წლების მონაცემები).

პრაქტიკული და კვლევითი მუშაობის დროს სტუდენტებს აქვთ სათანადო ზედამხედველობა. მათი საჭიროებების შესაბამისად, მათ შეუძლიათ მოითხოვონ დამატებითი გაკვეთილები კლინიკური უნარების ცენტრში, რომლის დროსაც მათ, ასევე, აკვირდებიან. ჰოსპიტლებში პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტებს ზედამხედველობას უწევენ ადგილობრივი პერსონალის წევრები. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ ზოგჯერ ჰოსპიტლების პერსონალიც, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს სწავლებაში (ან არაა თსუ-ს მიერ დაქირავებული), კისრულობს პასუხისმგებლობას ზედამხედველობაზე, რაც არ არის მითითებული მემორანდუმებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა" - პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- სტუდენტური პროექტის ანგარიშები;
- სტუდენტთა მონაწილეობა კონფერენციებში (2016-2018წწ. ნუსხა);
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

როტაციების მასშტაბისა და ფარგლების შემდგომი დეტალური დაგეგმვა, რომელთა შეთავაზებაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების არჩევანის მხარდაჭერის სისტემასთან ერთად, თუ იარსებებს არათანაზომიერი მოთხოვნა. შემდეგ ეს დეტალი შეიძლება ოფიციალურად ჩაიდოს კლინიკებთან ხელშეკრულებებში.

სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი მხარდაჭერა და თვალყურის მიდევნება, სამეცნიერო შედეგების გაზომვა და მისი ცვლილების ტენდენციებზე თვალყურის მიდევნება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- საერთაშორისო კონფერენციების მეშვეობით სტუდენტთა წვდომას ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ექსპერტებსა და პროექტებზე ყველა მიიჩნევს თსუ-ში სწავლის დამატებითი სარგებელად.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს,



სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სილაბუსებში აღწერილი მეთოდები მრავალფეროვანია, მათ შორისაა თანამედროვე მეთოდები, როგორცაა PBL, CBL, შებრუნებული საკლასო ოთახი და ა.შ. ამ ახალ ინტეგრირებულ პროგრამაში უნივერსიტეტმა დაამატა დამოუკიდებელი კლინიკური საქმიანობის კომპონენტი და, ამჟამად, საკონტაქტო საათები დაეთმობა არა მხოლოდ სემინარებს, არამედ კონტროლირებად დამოუკიდებელ საქმიანობასაც.

პანდემიის დროს, როდესაც სასწავლო პროცესი ძირითადად ონლაინ მიმდინარეობდა, თსუ-მ მოახერხა სტუდენტებისათვის საკმარისი სასწავლო მასალის მიწოდება და პრაქტიკული სესიების (კლინიკური უნარების სწავლება და კლინიკური პრაქტიკა) ჩატარება. დამატებით თსუ-მ შეიძინა Lecturio, რომელიც შეესაბამება პანდემიის მდგომარეობის მოთხოვნებს. სტუდენტები აცხადებენ, რომ აქტიურად იყენებენ მას და თვლიან, რომ ის ძალიან გამოსადეგია.

საერთოდ, სტუდენტები, ძირითადად, აღწერენ რომ სემინარები დისკუსიის ფორმატით ტარდება. ზოგი სტუდენტი, ასევე, აღნიშნავს როგორ თამაშებს, PBL და CBL, თუმცა ამ მეთოდოლოგიების მიზნისა და ტექნიკის გააზრება შეზღუდულია.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები დადებითად აფასებდნენ თავიანთი პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგები (არა მხოლოდ თავად შედეგები, არამედ ტერმინის მნიშვნელობაც) ცუდად აქვთ გააზრებული. ამან შეიძლება გავლენა იქონიოს უნივერსიტეტის სურვილზე, რომ ჰქონდეს ყოვლისმომცველი, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. იმისთვის რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სწავლის პროცესზე საკუთრების განცდა, აუცილებელია, უფრო საფუძვლიანად გაიაზრონ პროგრამის ძირითადი მიზნები და კურიკულუმის შინაარსთან და შეფასებასთან მათი კავშირი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა" - პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები;
- შეფასების სახელმძღვანელო;
- შეფასების ფორმები;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა გააცნობიერონ პროგრამა კომპეტენციების, კურიკულუმის მიწოდებასა და შეფასების კონსტრუქციული შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც შეიძლება რთული იყოს სრულად ინტეგრირებული კურიკულუმით. გასათვალისწინებელია გზების შემუშავება, რომლებიც გაუადვილებს სტუდენტებს პროგრამის კურიკულუმის დიზაინისა და მიწოდების მეთოდების ჩანაფიქრის გააზრებას და გახდის მათ უფრო ეფექტიან

მიზანმიმართულ შემსწავლელებად.
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ კოვიდის გამო გადაუდებელ დისტანციურ სწავლებაზე (ERT) გადასვლამ გამოიწვია Lecturio-ს შექმნა, რასაც სტუდენტები აღიქვამენ ძალიან მისასალმებელ და გამოსადეგ დამატებით რესურსად. ეს გააუმჯობესებს მომავალში სტუდენტების მიზანმიმართულ დამოუკიდებელ სწავლას.</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<b>შეფასება</b>
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსებსა და მათი სწავლის შედეგებს. მრავალი კურსის შეფასება ხდება OSCE-ს, კლინიკური დღიურების და პორტფოლიოს საფუძველზე. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები აღწერილია სილაბუსებში და წინასწარაა ცნობილი სტუდენტებისათვის. გამოყენებული შეფასების მეთოდების მრავალფეროვნების გამო, თსუ-მ შეიმუშავა შეფასების სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია თითოეულის დეტალური აღწერა. როტაციების შეფასება ემყარება miniCEX-სა და სტუდენტთა დღიურებს (პორტფოლიოს) (ეს ორი ტერმინი ეკვივალენტად გამოიყენება</p>

როტაციების სილაბუსებში, ხოლო სხვა დოკუმენტებში ისინი ცალ-ცალკეა აღწერილი. პორტფოლიოს ნიმუში არ იქნა წარმოდგენილი ექსპერტებისათვის, თუმცა კლინიკური დღიურები მიმოხილულ იქნა. კლინიკური დღიურები ადასტურებენ სტუდენტის ჩართულობას პაციენტის მოვლაში, მაგრამ ისინი წარმოადგენენ შესრულებული აქტივობების ნუსხას და მენტორის მხრიდან საერთო კომენტარს (შთაბეჭდილებას), რომელსაც არ გააჩნია უნარების ანალიტიკური შეფასება. ამ შეფასებების სტანდარტიზება რთული იქნება.

OSCE-სთვის თსუ-მ დაიწყო თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების რეკრუტირება სიმულაციური პაციენტის როლების შესასრულებლად, თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარეობს მსახიობების მომზადების პროცესი და ისინი გამოცდებში ჯერ არ გამოუყენებიათ. შეკითხვების ბანკი OSCE-ს შეფასებებისათვის შემუშავების პროცესშია.

კვლევითი უნარების საბოლოო შეფასება ემყარება სამეცნიერო პროექტის შექმნას.

პერსონალის უმეტესობა იცნობს შეფასების მეთოდოლოგიებს. ისინი ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ტრენინგებს ტექნიკის დაუფლებისათვის. პერსონალი, ასევე, იცნობს შეფასების პროცედურის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. მაგრამ სტუდენტები შეფასებად განიხილავენ მხოლოდ MCQ ან წერით ქვიზებს. მათ მიერ შეფასების გააზრებადაკავშირებულია საგამოცდო ცენტრშიგამოცდის დაწერასთან. სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების ან პორტფოლიოს შეფასება არ განიხილება შეფასების მეთოდად. სტუდენტთა გამოკითხვებმა, ასევე, გამოავლინა, რომ სტუდენტების შეფასების მეთოდები, სწავლების მეთოდები და ადმინისტრაციასთან კონტაქტი ის სფეროებია, რომელთა გაუმჯობესა სასარგებლო იქნებოდა (გამოკითხვა ჩატარდა კოვიდის პანდემიის დროს). საერთო ჯამში, კურიკულუმის სწავლის შედეგებისა და შეფასების ბარიერებისკონსტრუქციული თანხვედრა შეიძლება უფრო თვალსაჩინო იყოს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტებისათვის.

სტუდენტების შეფასება შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და სტუდენტები აცხადებენ, რომ იგი არის გამჭვირვალე და სამართლიანი. საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდის გასაჩივრების პროცედურები ახლახანს გამარტივდა და სტუდენტებს აღარ ესაჭიროებათ ცენტრში მისვლა საჩივრის შესატანად. უკუკავშირის უზრუნველყოფის პროცედურა არ არის სტანდარტიზებული. სტუდენტებს შეუძლიათ განიხილონ თავიანთი შედეგები სურვილის შემთხვევაში, თუმცა არ არსებობს ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვის ფორმალური პროცედურა, ისევე როგორც იმისა, თუ რამდენად მიაღწიეს მათ სწავლის შედეგებს.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა" - პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები;
- შეფასების სახელმძღვანელო;
- შეფასების ფორმები;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- კლინიკური დღიურის ნიმუში;

- გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- მიუხედავად იმისა, რომ შეფასების პროცესები სწორად შეესატყვისება კომპეტენციებს და კურიკულუმის დიზაინსა და მიწოდებას, სტუდენტებს უნდა დაეხმარონ, უფრო ღრმად გააცნობიერონ არა მხოლოდ ის, თუ რას წარმოადგენს წარმატება შედეგების მიღწევაში, არამედ შეფასებების გრძელვადიანიურთიერთკავშირი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესირების მტკიცებულებას. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს შინაგანად დასახონ საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნობრივი ნიშნული.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გაგრძელდეს მუშაობა პორტფოლიოს შემუშავებაზე, რომელიც გამოყენებული იქნება 6 წლის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ იგი გახდეს პროცედურების დღიურზე (ჟურნალ)მეტი როტაციების შეფასების თანამიმდევრულობისადმი მიდგომა საჭიროებს შემდგომ განხილვას.
- განხილულ იქნეს "იმიტირებული პაციენტების ბანკის" გაფართოების გზები, როგორცაა მოხალისეების გამოყენება, სტუდენტი მსახიობების მომზადების გამოცდილების საფუძველზე.
- უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული სტუდენტის მიერ საკუთარი მიღწევების შესახებ გამომხატურების მიღების პროცედურის ფორმალიზება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ადგილობრივი დრამატული კოლეჯის სტუდენტი მსახიობების სიმულაციურპაციენტებად დატრენინგება ეფექტიანი გზაა "სტანდარტიზებულ პაციენტებზე" ხელმისაწვდომობის გაზრდასა და განსაკუთრებით გამოსადეგია, OSCE შეფასებების განმტკიცებაში

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამის საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საკითხს, როგორცაა აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა, კარიერული ზრდა, სწავლის გაგრძელება და ა.შ. მაგრამ ინტერვიუების დროს სტუდენტებს ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ მათი სწავლის შედეგების შესახებ. ფაკულტეტს აქვს სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, სადაც სტუდენტი იღებს დახმარებას სემესტრული რეგისტრაციის საკითხების ორგანიზებაში.

COVID-19 პანდემიის პერიოდში ფაკულტეტმა, რეგულარული შეხვედრების საშუალებით, უზრუნველყო სტუდენტებისა და პერსონალის შეხვედრები, ონლაინ სწავლისგანსტუდენტებისათვის მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით. პანდემიის პერიოდში მუშაობდა თვითშეფასების ჯგუფი. ოფიციალურად მათ ჰყავთ სტუდენტი წევრები ყველა შესაბამის ჯგუფში, მაგრამ ინტერვიუების დროს სტუდენტებს ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ თვითშეფასების პროცესის შესახებ და უარყოფდნენ ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას.

კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში თსუ ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს სტუდენტებსა და თანამშრომლებს. ფაკულტეტმა დანიშნა ფსიქოლოგი და ინტერვიუების დროს ყველამ დაადასტურა, რომ ეს სერვისი ხელმისაწვდომია და კომუნიკაცია მარტივია. სტუდენტური სერვისების ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა სახის კონსულტაციას, როგორცაა: ადმინისტრაციული მხარდაჭერა, თანამშრომლებთან კომუნიკაცია, ემოციური და სოციალური პრობლემების მოგვარება, დოკუმენტაციის მომზადება, ძირითადად, სხვადასხვა სტიპენდიისთვის, სტუდენტური აქტივობების დაგეგმვა (ფორუმები, შეხვედრები და ა.შ.). მომსახურება ხელმისაწვდომია ციფრული სახით სპეციალური პორტალიდან და ელექტრონული ფოსტით, ასევე პირისპირ, როდესაც ეს შესაძლებელია. ელექტრონული პლატფორმა ეფექტური და სწრაფი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა; ყველა სტუდენტი და ყველა კურსი რეგისტრირებულია ამ პლატფორმაზე. მიმდინარე შუალედური და დასკვნითი შეფასებების შედეგები, ასევე, ქვეყნდება ამ პლატფორმაზე და სტუდენტებს შეუძლიათ თვალი ადევნონ საკუთარ ქულებსა და აკადემიურ მიღწევებს აღნიშნული ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. საგამოცდო ცენტრს აქვს ელექტრონული გასაჩივრების პროცესი, რამაც პანდემიის პერიოდში სტუდენტებს გაუადვილა ურთიერთობა პროფესორ-მასწავლებლებთან.

თსუ-ს აქვს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც, ძირითადად, მონაწილეობს სემინარების ორგანიზებაში, რათა მოამზადოს და გააუმჯობესოს სტუდენტების უნარები სხვადასხვა სამუშაოზე, სტაჟირებასა და გრანტზე განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში. სტუდენტებს აქვთ მხარდაჭერა სხვადასხვა სამეცნიერო საქმიანობაში (ეროვნულ და საერთაშორისო კონგრესებში) მონაწილეობის მისაღებად. ამას უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი. გასაუბრების პროცესში, ზოგიერთ სტუდენტს ნაკლები ინფორმაცია ჰქონდა ამ შესაძლებლობის შესახებ, თუმცა Covid-ის შეზღუდვების გამო, ისინი თვლიდნენ, რომ ეს არ იყო არსებითად მნიშვნელოვანი საზრუნავი.

სტუდენტებს აქვთ დეტალური ინფორმაცია მატერიალური და ტექნიკური რესურსებისა და ბიბლიოთეკის შესახებ. COVID-19 „ლოქდაუნის“ პერიოდში, ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომი იყო ონლაინ რეჟიმში, უნივერსიტეტის ვებგვერდზე. კოვის 19-ის გამო პრაქტიკული სწავლებისთვის მათ შეცვლილი ცხრილი აქვთ და საშუალება აქვთ გაიარონ სწავლება სიმულაციის სასწავლო ცენტრში, სადაც ინფექციის კონტროლის ყველა რეგულაციის დაცვა კარგად არის ორგანიზებული.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს პირისპირ და ანონიმურად ელექტრონული გამოკითხვების საშუალებით, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს. ისინი თვლიან, რომ მათ მიერ გაკეთებული ნებისმიერი რეკომენდაცია გათვალისწინებულია ფაკულტეტის მიერ და განხორციელდა რიგი ქმედებები, რომლებიც

ეცნობათ სტუდენტებს.

დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების პროცესში სტუდენტებისა და მომავალი დამსაქმებლების კომუნიკაციის ნაკლები მტკიცებულება იყო წარმოდგენილი. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტებს არ მიეცათ შესაძლებლობა უფრო მეტად გაეგოთ დამსაქმებელთა საჭიროებების შესახებ, ხოლო დამსაქმებლებს შეეძლოთ უფრო მეტი წვლილი შეეტანათ პროგრამის შემუშავებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ანალიზი;
- ვიზიტის დროს უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დაფინანსების ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტაცია და ბრძანება;
- თსუ-ს ვებგვერდი;
- დანართი 18;
- <http://lms.tsu.ge/>

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტების ჩართულობა სამომავლო თვითშეფასების ანგარიშის პროცესებში; შესაძლებელია SPARQS პროექტის ფარგლებში მომზადებული სტუდენტების გამოყენებით.

გაზრდილ იქნეს სტუდენტებსა და მომავალ დამსაქმებლებს შორის მეტი კომუნიკაციის შესაძლებლობები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- COVID-19 პანდემიის დროს ძალზე ეფექტურად იმართებოდა გადაუდებელი დისტანციური სწავლება (ERT) ონლაინ და შერეული სასწავლო მიდგომების გამოყენებით.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა



- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამჟამინდელ მედიცინის პროგრამაზე ირიცხება 64 აკადემიური, 68 მოწვეული პერსონალი (მათ შორის 4 უცხოელი), მათი საერთო რაოდენობაა 132-ია. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის დაახლოებით 1/1-ა. ეს უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. გარკვეული დისკუსია გაიმართა იმის თაობაზე, საკმარისი იყო თუ არა პერსონალის რიცხვი, თუკი პროგრამა გაზრდიდა სტუდენტების მიღებას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა, რომ თსუ უზრუნველყოფდა სტუდენტების რიცხვის შესაბამისობას სწავლების შესაძლებლობებთან. მოწვეული მასწავლებლების ნაწილი უკვე წლებია თანამშრომლობს თსუ-სთან. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციები, რაც დასტურდება მათი პროფესიული რეზიუმეებით, გამოქვეყნებული ნაშრომებით და საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობით. მათ აქვთ წლების გამოცდილება საგანმანათლებლო საქმიანობაში, სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პროცესების მენეჯმენტსა და ხელმძღვანელობაში. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს დროს, დეკანმა დეტალურად აღწერა პროგრამის შემუშავების პროცესი ბოლო წლების განმავლობაში და აშკარა იყო, რომ უნივერსიტეტი დიდი ხანია იყენებს სამედიცინო განათლების თანამედროვე მიდგომებს.

ფაკულტეტის წევრებს და ადმინისტრაციულ პერსონალს აქვთ შესაბამისი კომპეტენციები, ასევე, მრავალწლიანი გამოცდილება და ერთობლივად მონაწილეობენ პროგრამის ინოვაციურ განვითარებაში.

პროგრამაში სტუდენტების რაოდენობაა 452-ია, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა არის 1/4. საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის აუცილებლობით. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი დატვირთვა მიღწევადია და პროგრამისთვის მისაღებია პროფესორთა და სტუდენტთა თანაფარდობა, თუ სტუდენტების რიცხვი გაიზრდება ან თუკი კლინიკურ განლაგებებში სტუდენტთა დახმარებაზე მოთხოვნა გაიზრდება, პროგრამის დაკომპლექტების დონე ოპტიმალურზე ნაკლები იქნება.

პედაგოგთა კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო; კონკურსს წარმართავს კომპეტენტური საკონკურსო კომიტეტი. შერჩეული აკადემიური პერსონალის გარდა, ზოგიერთი ლექტორი მოწვეულია უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მიზნით, თსუ-ს დებულების შესაბამისად. პერსონალის დაქირავების თანმიმდევრული პროცესი აღწერილი იყო ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს.

აკადემიური პერსონალის აფილირება უნივერსიტეტთან მოითხოვს წერილობითი შეთანხმების დადებას უნივერსიტეტსა და კანდიდატს/პერსონალის წევრს შორის. თსუ მიზნად ისახავს ურთიერთსასარგებლო შრომითი და სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებას უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს შეასრულოს თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა უნივერსიტეტის სახელით. ასევე, უნივერსიტეტი ვალდებულია

მაქსიმალურად დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს.მენეჯმენტმა დაადასტურა ეს ვალდებულება.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას მოწმობს CV და დიპლომები.

თსუ უზრუნველყოფს, რომ ლაბორატორიის ასისტენტებმა იმუშაონ ფაკულტეტის კლინიკურ ბაზებზე, ეს ეფექტურია და ხელს უწყობს პროგრამის უკეთ კოორდინაციას.

ფაკულტეტისა და ადმინისტრაციული პერსონალი ეხმარება ფაკულტეტის დეკანს, დეკანის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ლექტორებს ახალი პროგრამის ეფექტურად განხორციელებაში. მათი რიცხვი ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობისთვის და ამას სტუდენტთა გამოკითხვებიც ადასტურებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და დიპლომები (დანართი 3);
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია, საგნის (საგნების) შესაბამისად (დანართი 5);
- პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობა (დანართი 4);
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- თსუ ვებ-გვერდი [www.tsu.ge](http://www.tsu.ge);
- მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი; <https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/>

**რეკომენდაციები:**

- კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა კარგად არის დამკვიდრებული, თუმცა, კურსების განვითარების შესაბამისად, აუცილებელი გახდება მათი გადახედვა და შეიძლება საჭირო გახდეს შესაძლებლობების გაზრდა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## შეფასება

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტი რეგულარულად აფასებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. თითოეული სასწავლო სემესტრის განმავლობაში ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვებით ფასდება სწავლა/სწავლების ღონისძიებები, როგორც კურსის, ისე ლექტორების შეფასების მიზნით. ამ ანგარიშების ანალიზი წარმოადგენს პერსონალის განვითარების დაგეგმვის საფუძველს. ამიტომ, მედიცინის ფაკულტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

ისეთი საქმიანობის მხარდაჭერა, როგორცაა მოწვეული ექსპერტების ტრენინგები, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და ამ ყველაფრის ხელმისაწვდომობა დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრების დროს. თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ გრძნობენ მხარდაჭერას და ხელშეწყობას პროფესინალურად ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

უნივერსიტეტი გეგმავს კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებას, ძირითადად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაუმჯობესების გზით. ამიტომ, სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით, დაწესებულია მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს შექმნას მაღალრეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები.

დეკანმა აღნიშნა, რომ გეგმავს ინგლისური ენის უნარის შემდგომ განვითარებას როგორც სტუდენტებში, ასევე პერსონალში, ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის შემცირებით. ამასთანავე, თსუ-მ დააარსა ონლაინ ჟურნალი "ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინა - საქართველოს სამედიცინო ჟურნალი", მედიცინის ფაკულტეტზე შემუშავებული სადოქტორო თეზისების განვითარების მიზნით. თსუ ჟურნალი ინდექსირებულია „გუგლ სქოლარში“.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს ერასმუსის პროგრამაში და სხვა ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში მათი პროფესიული განვითარების მიზნით.

ორ წელიწადში ერთხელ ფაკულტეტიმასპინძლობს საბჭოს შეხვედრას თბილისში და უზრუნველყოფს საბჭოს წევრების მონაწილეობას სპეციალურად ერთდროულად ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში "ტრანსლაციური და 37 კლინიკური მედიცინა". მედიცინის ფაკულტეტი უზრუნველყოფს სრულ ფინანსურ და ორგანიზაციულ დახმარებას საბჭოს წევრების თბილისში ვიზიტისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- თსუ მხარს უჭერს და რესურსებით უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და შესაძლებლობებს; ის აფასებს ამ პროგრამებისა და შესაძლებლობების არა მხოლოდ სარგებელს პერსონალისა და სტუდენტებისთვის, არამედ იმდადებით გავლენასაც, რაც მათ მოაქვს უნივერსიტეტისათვის, ინტენსიურ კვლევით უნივერსიტეტად ჩამოყალიბების გზაზე.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა მედიცინის ფაკულტეტის მთავარი შენობა, ბელიაშვილის ქუჩა No78- ში, სადაც ხორციელდება საბაზისო საგნების სწავლება პროგრამის პირველ და მეორე კურსზე.

თსუ-მ დააფინანსა სამედიცინო ფაკულტეტის ამ შენობის რეაბილიტაცია და შეკეთება (სადაც განთავსებულია ფაკულტეტის ადმინისტრაცია, კლინიკური ანატომიისა და ქირურგიული ქირურგიის კათედრა, ფარმაკოლოგიისა და კლინიკური ფარმაკოლოგიის კათედრა, ჰისტოპათოლოგიური დიაგნოსტიკური ცენტრი, კვლევითი ლაბორატორიები, მცირე ლაბორატორიული ცხოველების ვივარიუმი, ექსპერიმენტული ოპერაციული და სიმულაციური ცენტრი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და არის სამუშაო ოთახები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრის ოთახები, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, კლინიკური უნარების ცენტრი, სიმულაციური ოთახები OSCE-სეფექტური განსახორციელებლად, 8 სადგურით, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებით, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მიკროსკოპებით და ლაბორატორიული აღჭურვილობით, და უახლოეს პერიოდში დაგეგმილია PCR ლაბორატორიის ამოქმედება. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით.

კიბის პლატფორმა, ლიფტი, სველი წერტილები და აუდიტორიები (ოთახები) ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის და სამედიცინო ფაკულტეტი გეგმავს საკუთარი საგამოცდო ცენტრის შექმნას შენობის სარდაფში, რაც სტუდენტებისთვის ხელსაყრელი იქნება.

გაფორმდა იურიდიული შეთანხმებები თსუ-სა და კლინიკებს შორის, სადაც, ძირითადად, ხორციელდება სასწავლო პროცესი კლინიკური კურსებისთვის. ამჟამად, თსუ თვლის, რომ მას გააჩნია საკმარისი შესაძლებლობები და არ იგეგმება სტუდენტების რიცხვის

გაზრდა.ამასთან, სრულად ინტეგრირებული კურიკულუმის პროგრესისპირობებში შესაძლებლობები მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა და განხილული იქნება. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა ჯგუფს მიაწოდა ახლად ხელმოწერილი ხელშეკრულება ამერიკულ საავადმყოფოსთან (რომლის გახსნა იგეგმება წელს). დამსაქმებლებთან ონლაინ შეხვედრის დროს საავადმყოფოს დირექტორმა დაადასტურა, რომ ეს ორგანიზაცია გეგმავს მხოლოდ თსუ-სთან თანამშრომლობას.

ექსპერტთა ჯგუფი ეწვია საბახტარაშვილის რეპროდუქციულ კლინიკასა და ვივამედის საავადმყოფოს, სადაც სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან კლინიკებში კეთილმოწყობილი სასწავლო ოთახებით და აქვთ ყველა პირობა კლინიკურ პირობებში ეფექტური სწავლებისთვის.

უნივერსიტეტს აქვს საერთო საცხოვრებელი, რომელსაც იყენებენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი სტუდენტები. ინფორმაცია ზემოაღნიშნულის შესახებ გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ინტერვიუების დროს აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა აღნიშნეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ეცნობიან თავიანთ შეფასებებს, დასწრებას, აქტივობას, ზეპირი გამოცდებისა და ქვიზების შეფასებებს. ეს, ასევე, საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ პროგრამას, სილაბუსებს და შექმნან ინდივიდუალური პროფილი. გარდა ამისა, აღნიშნული პორტალის გარდა, რომელიც სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება, 2009 წლიდანთბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიგამოიყენებაელექტრონული სწავლების პორტალი Moodle.

არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტ პროცესს, რაც დადასტურდა პანდემიის დროს შექმნილი კრიზისის დროულად და ეფექტურად გადალახვით.

თსუ-ს სტუდენტებს წვდომააქვთ უახლესი სამეცნიერო ლიტერატურასა და ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში განთავსებულპუბლიკაციებთანთბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან და უნივერსიტეტის ქსელის მიღმა.

Covid-19 პანდემიის დროსფაკულტეტმა მოახერხა მთელისწავლების ონლაინ პლატფორმაზე გადატანა, რადგან უნივერსიტეტმა უზრუნველყო რესურსები (Zoom-ის, ტურიტინის ლიცენზიებისა და Lecturio- ს შეძენა) და გამოიყენა ისინი ეფექტურად და ეფექტიანად უმოკლეს დროში.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრება დამსაქმებელთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკის რეასურსები, კატალოგი:  
[https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e\\_catalog/](https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/)
- თსუ-ს ვებ-გვერდი: <https://www.tsu.ge> მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი:  
<https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/>
- ელექტრონული რესურსები:

<https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/o>

- დაწესებულების ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- მატერიალური რესურსების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კლინიკების ჩამონათვალი (დანართი 11);
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები კლინიკებთან (დანართი 11).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

იმის გამო, რომ ახალი ამერიკული საავადმყოფო იხსნება და მზადაა სტუდენტების მისაღებად, შეიძლება სასარგებლო იყოს ყველა კლინიკური ადგილის გადახედვა, ახალ ინტეგრირებულ კურიკულუმში კლინიკური სწავლების შესაძლებლობების საერთო მიმოხილვასთან ერთად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ახალი ჰოსპიტალი, რომელიც სექტემბერში გაიხსნება ექსკლუზიური ხელმისაწვდომობით თსუ-ს სტუდენტებისთვის, მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც გაზრდის თსუ-ს კურიკულუმის სპეციფიკური სწავლების შესაძლებლობებს კლინიკურ გარემოში, თსუ-ს ერთგული ხელმძღვანელების მიერ.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**



პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თსუ მედიცინის ფაკულტეტის ფინანსური რესურსი სტაბილურად იზრდება და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. დაფინანსების ძირითადი წყაროა მედიცინის პროგრამიდან, სადოქტორო და რეზიდენტურის პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი.

გასაუბრების დროს რექტორმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტი ფინანსდება არა მხოლოდ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, არამედ თსუ-ს ცენტრალური ბიუჯეტიდანაც, აგრეთვე, მიღებული საერთაშორისო და ეროვნული გრანტებიდან. თანხები მიიღება ნებადართული ეკონომიკური საქმიანობიდან. ბიუჯეტის გადახედვისას, შესამჩნევია, რომ მოცულობა ყოველწლიურად იზრდება.

2016 წლიდან 2021 წლამდე მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი იღებდაშიდა გრანტებს უნივერსიტეტისგან, ასევე, საქართველოს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ERASMUS-დან; გრანტების საერთო ღირებულება 1 000 000 ლარზე მეტია და ეს, ასევე, არ აისახება ფაკულტეტის ბიუჯეტში.

ბოლო წლებში ბიუჯეტის ზრდამ აჩვენა, რომ ფაკულტეტს აქვს სტაბილური და გრძელვადიანი ფინანსური გარანტია მომავალი განვითარებისათვის. ამასთან, ფაკულტეტს შეუძლია მეტი მოქნილობა გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი ბიუჯეტის შესაძლებლობების მისაღებად, განსაკუთრებით Covid-19 პანდემიის დროს, როდესაც სწავლის საფასურის გადახდა შემცირდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება რექტორთან, დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან;
- ბიუჯეტის დინამიკა (დანართი 14).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არსებული შესაძლებლობები კარგია, თუმცა სამომავლო განვითარებისათვის, სამედიცინო ფაკულტეტს შეუძლია ისარგებლოს ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯვითი ნაწილის უფრო მეტი მოქნილობით, სამომავლოდ ამბიციური გეგმების განხორციელებისათვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p><b>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</b></p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
---

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს აქვს კარგად ორგანიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია თსუ-ში სწავლებისა და კვლევის ხარისხის კულტურაზე. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორი დეპარტამენტისგან შედგება: 1. ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება, 2. აკრედიტაციის, კვლევისა და შეფასების განყოფილება და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას მათი შემუშავებული შესაბამისი რეკომენდაციების გამოყენებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ემყარება წინასწარ შედგენილ წესებს (დანართი 17.2; დანართი 15) და სრულად უზრუნველყოფს პრინციპის - "დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, შემუშავება" (PDCA) უწყვეტობას (დანართი 17.1). ფაკულტეტის მისიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლია.

სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები რეგულარულად მონაწილეობენ პროგრამის შეფასებაში. თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სისტემატურად ატარებს დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევებს თსუ-ს სასწავლო საქმიანობის, მატერიალური და ტექნიკური რესურსების შესახებ. კითხვარების განახლება ხდება პერიოდულად, საჭიროების მიხედვით.

თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების თანახმად, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების მიერ გამოკითხული შედეგების ღრმა ანალიზი ხორციელდება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით (დანართი 17.3, თავი III), რათა დადგინდეს რა პრობლემები არსებობს სამედიცინო პროგრამის განხორციელების დროს. პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ, ყველა საკითხს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელები და ასევე, ყველა შესაბამისი მხარე.

როგორც აღნიშნულია დამატებით დოკუმენტებში და თვითშეფასების ანგარიშში, ყველა დაინტერესებული მხარე განიხილავს პრობლემებს ერთად და გეგმავს პრობლემების გადაჭრის გზებს. სწავლების ახალი მეთოდები, როგორცაა TBL, PBL, აქტიურად არის შემუშავებული და გამოყენებული ახალ პროგრამაში პერსონალისა და სტუდენტების გუნდური მუშაობის უნარების ასამაღლებლად. ზემოაღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფენ გუნდურ მუშაობას, პრობლემების გადაჭრას, გადაწყვეტილების მიღების დროის შემცირებას, გამართულ მენეჯმენტს და სხვა ლიდერობის უნარების განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალით, სტუდენტებით და დაინტერესებული მხარეებით, ამზადებს ყველა თვითშეფასების ანგარიშს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის და განსაზღვრავს პროგრამის სიძლიერესა და სისუსტეს. გამოკითხვების საფუძველზე, QA სამსახურისგუნდი ქმნის რეკომენდაციებს

გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის განყოფილებები რეგულარულად ატარებენ კონსულტაციებს, ტრენინგებს და სემინარებს აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების, ადმინისტრაციული პერსონალისთვის საინტერესო სპეციფიკურ საკითხებზე (დანართი 17.7- 17.8). როგორც გამოჩნდა ინტერვიუებიდან და თვითშეფასების ანგარიშიდან, covid-19 პანდემიის პერიოდში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტები ძალიან ინტენსიურად მუშაობდნენ და ამზადებდნენ დამატებით დოკუმენტებს, როგორცაა ელექტრონული სწავლების სახელმძღვანელო, MOODLE პლატფორმაზე საშინაო დავალებების შექმნის სახელმძღვანელოები და ასევე, სახელმძღვანელოები ლექტორებისთვის Zoom-ში Breakout-ოთახების და გამოკითხვების გამოყენების შესახებ. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი საჭიროებების გათვალისწინებით (იხ. დანართი 17.8).

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 17.2);
- [https://www.tsu.ge/data/file\\_db/academic\\_orders/1132017\\_d1.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1132017_d1.pdf)
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულება - თავი V. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი (დანართი 15) [https://www.tsu.ge/data/file\\_db/medicine/New%20Debuleba.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/medicine/New%20Debuleba.pdf)
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს / თსუ 2019 წლის 22 ივლისის No.100 / 2019 დადგენილებით (დანართი 17.3);
- [https://www.tsu.ge/data/file\\_db/academic\\_orders/1002019\\_d1.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1002019_d1.pdf)
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტების წევრობის დამტკიცების თაობაზე - დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს / თსუ-ს დადგენილებით 12 თებერვლის No46/2018. 2018 (დანართი 2);
- სამედიცინო ფაკულტეტის კითხვარები (დანართი 17.6);
- პერსონალის მონაწილეობა მუდმივი პროფესიული განვითარების პროგრამებში, ტრენინგებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში (დანართი 17.8);
- თსუ ვებ-გვერდი <https://www.tsu.ge>

<ul style="list-style-type: none"> <li>○ მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი; <a href="https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/">https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/</a></li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>2011 წელს გარე აკრედიტაციის ექსპერტებმა შეაფასეს მედიცინის ქართულენოვანი პროგრამა (გადაწყვეტილება N35, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N3 სხდომა, 2011 წლის 16 სექტემბერი). პროგრამის განვითარების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები ყოველწლიურად წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.</p> <p>2011-2014 წლებში თსუ-ს სამედიცინო ფაკულტეტმა მიიღო მონაწილეობა TEMPUS</p>

პროექტში "განათლების სამედიცინო მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში - MUMEENA", (პროექტის კოორდინატორი - ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, სამედიცინო განათლების ინსტიტუტი, ლიდის უნივერსიტეტის დირექტორი). ამ პროექტის განხორციელებისას, პროგრამა შეაფასეს გარე ევროპელმა პარტნიორებმა და შეადარეს ლიდის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი), უტრეხტის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები), გრანადას უნივერსიტეტის (ესპანეთი), რომის კათოლიკური უნივერსიტეტის (იტალია) სამედიცინო პროგრამას. პარტნიორი უნივერსიტეტების რეკომენდაციებისა და წინადადებების საფუძველზე თსუ-ს მედიცინის პროგრამა მოდერნიზებული იქნა. გარდა ამისა, ინტეგრირებული კურიკულუმი შეიქმნა და განხორციელდა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის, სამედიცინო განათლების თემატური ასოციაცია - MEDINE-სა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტების შესაბამისად. ამ პროექტის ფარგლებში, ფაკულტეტის წევრებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა გაიარეს ტრენინგი, სამედიცინო განათლებაში, შემდეგ ევროპულ პარტნიორ უნივერსიტეტებში: ლიდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), უტრეხტის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), გრანადას უნივერსიტეტი (ესპანეთი), რომის კათოლიკური უნივერსიტეტი (იტალია).

2013-2016 წლებში თსუ მონაწილეობდა ევროკავშირის TEMPUS პროექტში "ბუნებრივი და სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება და რეგიონალური სასწავლო პლატფორმის შექმნა ჰემატოლოგიის დარგში (DECERPH)". ამ პროექტის ფარგლებში განახლდა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიის კურსი ევროპული სტანდარტების შესაბამისად და განახლდა ლაბორატორიები (დანართი 13 და დანართი 16).

2019 წელს თსუ მედიცინის პროგრამა, ასევე, შეაფასა საერთაშორისო სამედიცინო განათლების გარე ექსპერტმა. ეს შეფასება შეიცავს დამატებით დოკუმენტებს და ასახავს, რომ "ახალ პროგრამაში აღწერილი შედეგები ძირითადად აკმაყოფილებს საბაზისო სამედიცინო განათლების პროგრამის შედეგებს, რომლებიც აღწერილია მედიცინის უმაღლესი განათლების ახალ დარგობრივ მახასიათებლებში (2019 წ.), ასევე, შედეგებზე დაფუძნებული მედიცინის საბაკალავროკურიკულუმის შემუშავებისა და მიწოდების EU TUNING-ის სახელმძღვანელოში(2013), რომელიც შეესაბამება ევროპული სამედიცინო კვალიფიკაციის ჩარჩოებსა და ძირითადი სამედიცინო განათლების სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის გლობალურ სტანდარტებს (2015)".

მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ფაკულტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ევროკავშირის უნივერსიტეტებთან, რომლებიც მოიაზრებიან პროგრამის "გარე შემფასებლებად" და მუდმივად უზრუნველყოფენ უკუკავშირის პროგრამის ხარისხისა და განვითარების შესახებ.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 16 სექტემბრის N3 სხდომის N 35 გადაწყვეტილება (დანართი 17.4);
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 16 სექტემბრის N3 სხდომის N 36 გადაწყვეტილება (დანართი 17.4);
- ინფორმაცია მედიცინის ფაკულტეტზე საერთაშორისო პროექტების შესახებ (დანართები 13, 16 და მედიცინის ფაკულტეტის ვებგვერდი);

<ul style="list-style-type: none"> <li>○ გარე შეფასება საუთჰემპტონის უნივერსიტეტისგან (დანართი 17.4);</li> <li>○ თსუ ვებგვერდი <a href="https://www.tsu.ge">https://www.tsu.ge</a>;</li> <li>○ მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი; <a href="https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/">https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/</a></li> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
--

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამედიცინო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება მუდმივი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა პერსონალი (აკადემიური, ადმინისტრაციული), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. პროცესი განხორციელდა რეგლამენტის შესაბამისად (დანართები 17.1, 17.2 და 17.3). სტუდენტების მონაწილეობა შეფასების პროცესში არ შემოიფარგლება კმაყოფილების კვლევების შეგროვებით, ისინი ასევე აფასებენ ცალკეულ სასწავლო კურსებს; უნივერსიტეტი აწყობს სტუდენტებთან შეხვედრებს, სადაც ისინი განიხილავენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ საკითხებს. სტუდენტები რეგულარულად ხვდებიან პროგრამის ხელმძღვანელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებს. ისინი მონაწილეობენ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ან კურსების დაგეგმვისა და / ან შემუშავების მიზნით, სხვადასხვა ჯგუფის ან კომიტეტის მუშაობაში. ზოგიერთი სტუდენტი მონაწილეობს SQRQS პროექტში (სტუდენტური პარტნიორობა ხარისხში. შოტლანდია), იმისთვის, რომ შეიძინოს უნარ-ჩვევები, რათა უფრო ეფექტური კონტრიბუცია მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე, 2019-2020 წლებში მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეიცვალა კითხვარები (დანართი 17.6). თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შეიძლება დასჭირდეს დარგის (მედიცინის) სპეციფიკასთან დაკავშირებული შეფასების სტრატეგია (მაგალითად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების გასაუმჯობესებლად) და შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო საკითხებზე, რომლებიც განსხვავებული იქნება უნივერსიტეტისაგან და სპეციფიკური იქნება ფაკულტეტისათვის.

ასევე აღინიშნა, რომ დისტანციური სწავლების კმაყოფილების შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა (დანართი 17.5) აჩვენა, რომ საერთაშორისო სამედიცინო სტუდენტების 45% დადებითად აფასებს სწავლის პროცესს, ხოლო ნეიტრალურად 42.4% (დანართი 17.5). იგივე კვლევა, რომელიც ჩატარდა უნივერსიტეტის დონეზე, იგივე ტენდენციის დემონსტრირებას ახდენს - სტუდენტების 38% აფასებს ელექტრონული სწავლების პროცესს ნეიტრალურად. გამოკითხვის შედეგები ეგზავნება კურიკულუმის კომიტეტს და პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებიც განიხილავენ მათ კომიტეტის სხდომებზე და შეიმუშავენ შესაბამის ზომებს სათანადო რეაგირებისთვის (დანართი 17.9).

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუდან ჩანს, სტუდენტებისთვის ყველაზე მეტად პრობლემური საკითხები იყო:

1. ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია - 17,4%;
2. სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები - 15%;
3. სწავლების მეთოდები - 13,8%.

აღნიშნული თემების შედეგების ანალიზი განიხილეს სტუდენტებთან და მოახდინეს



მათზე სათანადო რეაგირება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ "გამოკითხული აკადემიური პერსონალის 73.1% კმაყოფილია უნივერსიტეტის მიერ პროფესიული განვითარების თვალსაზრისით შეთავაზებული შესაძლებლობებით, 77% კმაყოფილია წარმატების მიღწევის და აღიარების ხარისხით და 71.8 % - სტრუქტურული ერთეულების რეაგირებით. პრობლემურ საკითხად დასახელდა სახელფასო პოლიტიკა (69.2%) და საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები (45%)“ (დანართი 17.5).

დასასრულს, ცხადია, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები მონაწილეობენ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ასპექტში თვითშეფასების ჯგუფების მეშვეობით და კომიტეტებსა და საბჭოებში სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, და მართვისათვის ( სასწავლო გეგმის კომიტეტი, ფაკულტეტის საბჭო). ეს ნამუშევარი მნიშვნელოვანია და ძალზე სასარგებლოა სასწავლო პროგრამის გადახედვის ან/და სხვა სპეციალური (სპეციფიკური) მიზნებისათვის შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობისთვის.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს შიდა და გარე შეფასების პოლიტიკა (დანართი 17.1);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - დებულება (დანართი 17.2);
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარებისწესი (დანართი 17.3);
- გამოკითხვის შედეგები (დანართი 17.5);
- გამოკითხვა შეფასებისთვის (დანართი 17.6);
- კვლევისშედეგები გამოყენება პერსონალის განვითარებისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით (დანართი 17.8 და დანართი 17.9);
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.

### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დაწესებულება უნდა დაეყრდნოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ სწავლის შედეგებისა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებისა და პროცესების - „თქვენ თქვით, ჩვენ გავაკეთეთ“,მონიტორინგისუკვე შესრულებულ მაღალ ხარისხიან სამუშაოს რესურსების გაზრდით, რათა გაფართოვდეს მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. გარდა ამისა, ურთიერთ შემოწმებასა და თემატურ ჯგუფზე შესრულებული სამუშაო მნიშვნელოვან სარგებელსმოუტანს მთელ კურიკულუმს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სისტემაში შეიძლება დასჭირდეს დარგის (მედიცინის) სპეციფიკასთან დაკავშირებული შეფასების სტრატეგია (მაგალითად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების გასაუმჯობესებლად) და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება საკითხებზე, რომლებიც განსხვავებული იქნება უნივერსიტეტისაგან და სპეციფიკური იქნება ფაკულტეტისათვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშავა შესანიშნავი მიდგომა სტრატეგიული და ოპერატიული შემოწმების პროცესებისადმი, რომლებიც არა მხოლოდ ყოვლისმომცველია, არამედ იძლევა შესანიშნავ მონაცემებს. შემოწმების შედეგები გარდაისახება ქმედებებში, როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების მონაწილეობით. გუნდს აქვს ამბიციური გეგმები ხარისხის გაუმჯობესების სამომავლო ინიციატივებზე, რომლებიც არა მხოლოდ ინოვაციურია, არამედ ხელს შეუწყობს საერთაშორისო მაღალი სტანდარტების ადრეულ დამკვიდრებას.
- თსუ სტუდენტების ჩართვა SQARQS პროექტში შთამბეჭდავია და გრძელვადიან სარგებელს მოიტანს სტუდენტების გაძლიერებული ჩართულობით ხარისხის უზრუნველყოფის ყველა პროცესში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
  - ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების				

ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				
--	--	--	--	--

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მაირი სკოტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ია ფანცულაია  
ქეთევან კანკავა  
ირაკლი გაგუა  
ელენე ხურციძე